ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მიერ დაფუძნებულია 190 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულება, რომელთა მომსახურებითაც სარგებლოს 60 000-მდე აღსაზრდელი.

თქვენ მიერ წერილში აღნიშნული ტენდერის მიზანია საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდება, ხოლო სააგენტოს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელების ინტერესების გათვალისწინება და მათი შესაბამისი ხარისხის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.

გაცნობებთ, რომ NAT230024464 ელექტრონული ტენდერის შესყიდვის სტატუსი ამ დროისთვის არის „შერჩევა/შეფასება“, რაც სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად არის ტენდერის სტატუსი, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რა დროსაც ფასდება პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა. გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე აღნიშნულ ელექტრონულ ტენდერში მიმდინარეობს მონაწილე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვით, ასევე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

საკითხის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ მზად არის ამომწურავი პასუხი გასცეს ელექტრონული ტენდერის ფარგლებში დასმულ ნებისმიერ შეკითხვას, თუმცა, შესყიდვის პროცედურის მიმდინარეობის ამ ეტაპზე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ სრულყოფილი პასუხები თქვენ მიერ წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.